IFAB

თამაშის წესები

2020/21

ცვლილებები და დაზუსტებები

(აგრეთვე VAR - ის, ლექსიკონის და პრაქტიკული სახელმძღვანელოს ცვლილებები)

საფეხბურთო ასოციაციების საერთაშორისო საბჭო

აპრილი, 2020

წესებში ცვლილებების მოკლე მიმოხილვა

წესი 1 - სათამაშო მოედანი

- ბოძები და ძელი შესაძლოა იყოს ოთხი ძირითადი კვეთის კომბინაცია

წესი 10 - მატჩის შედეგის განსაზღვრა

- დარტყმებისას 11მ ნიშნულიდან მხედველობაში არ მიიღება მატჩის მსვლელობისას მიცემული სიტყვიერი გაფრთხილებები და ნაჩვენები ყვითელი ბარათები
- იხილეთ ასევე ცვლილებები მე-14 წესში, რომლებიც დაკავშირებულია დარტყმებთან 11მ ნიშნულიდან

წესი 11 - თამაშგარე

- ბურთზე განზრახ ხელით თამაში თამაშგარესთან მიმართებით განხილულია, როგორც „ბურთზე განზრახ თამაში“

წესი 12 - წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი

- ბურთზე ხელით თამაში:
  - იღლიის ქვედა ნაწილი განსაზღვრულია, როგორც საზღვარი მხარსა და ხელს შორის (იხ. დიაგრამა მე-14 გვერდზე)
  - თავდამსხმელის (ან მისი თანაგუნდელის) მიერ ბურთზე „შემთხვევით“ ხელით თამაში ისჯება მხოლოდ მაშინ, თუ ეს მოხდა „უშუალოდ“ გოლის გატანამდე ან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობამდე
- მეკარემ შეიძლება მიიღოს ყვითელი ან წითელი ბარათი ბურთზე ხელმეორედ შეხებისთვის თამაშის განახლების შემდეგ (მაგ.: კარიდან დარტყმა, საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმა და ა.შ.), როდესაც ამის უფლება არა აქვს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შეხება მოხდა ხელით/მკლავით
- ნებისმიერი დარღვევა (არა მარტო ფიზიკური დარღვევა), რომელიც „ხელს უშლის ან აჩერებს იმედისმომცემ შეტევას“, უნდა დაისაჯოს ყვითელი ბარათით
- მოთამაშე, რომელიც არ იცავს „სადავო“ ბურთის გდებისას მოთხოვნილ 4მ მანძილს, ისჯება ყვითელი ბარათით
- თუ მსაჯი იყენებს უპირატესობას ან „სწრაფი“ საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმის შესრულების უფლებას აძლევს დარღვევისთვის, რომელიც „ხელს უშლის ან აჩერებს იმედისმომცემ შეტევას“, ყვითელი ბარათი არ იქნება ნაჩვენები

წესი 14 – 11მ დარტყმა

- მეკარის მიერ ჩადენილი დარღვევა არ ისჯება, თუ 11მ დარტყმისას ბურთი აცდება კარს ან აისხლიტება კარიდან (მეკარესთან შეხების გარეშე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დარღვევა აშკარად ახდენს ზემოქმედებას დამრტყმელზე
- პირველი დარღვევისთვის მეკარე სიტყვიერად იქნება გაფრთხილებული, ყოველი შემდგომი დარღვევისთვის (დარღვევებისთვის) ნაჩვენები იქნება ყვითელი ბარათი
- თუ დამრტყმელი და მეკარე ზუსტად ერთდროულად ჩაიდენენ დარღვევას, დაისჯება დამრტყმელი

მსაჯის ვიდეო ასისტენტის პროტოკოლი

- „მხოლოდ VAR-ის გადამოწმებისას“ საჭიროა მხოლოდ ერთი „სატელევიზიო სიგნალი“

ლექსიკონი

- ლექსიკონში შეტანილია შეკავებით ჩადენილი დარღვევის განსაზღვრება
- მოთამაშის ტერფის ან სხეულის რომელიმე ნაწილის სათამაშო ზედაპირთან შეხების ადგილი წარმოადგენს მის პოზიციას თამაშის განახლებისას

დაზუსტება

თუ კარიდან დარტყმისას ან საჯარიმო და თავისუფალი დარტყმისას მეკარე ააგდებს ბურთს ზევით და მისი თანაგუნდელი თავით/მკერდით დაუბრუნებს ბურთს მეკარეს, რომელიც ხელით დაიჭერს მას, დარტყმა განმეორდება; სადისციპლინო სანქცია არ არის საჭირო (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ქმედება სისტემატურია)

სარედაქციო ცვლილებები

ტექსტში შეტანილია მცირე რაოდენობის სარედაქციო ცვლილებები, რათა ტექსტი გახდეს უფრო თანმიმდევრული/ლოგიკური. ყოველი ამგვარი ცვლილება ხაზგასმულია:

რეორგანიზებული ტექსტი

წესი 12 - წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი

- შეცვლილია ბურთზე ხელით თამაშის დარღვევების სახეობების რიგითობა

წესი 14 – 11მ დარტყმა

- დამატებულია პუნქტები მეკარის მიერ ჩადენილ დარღვევებთან მიმართებით
- განახლებული და რეორგანიზებულია 11მ დარტყმისას ჩადენილი დარღვევების შემაჯამებელი ცხრილი

მსაჯის ვიდეო ასისტენტის პროტოკოლი

- გადაკეთებულია ტექსტი „გადამოწმების“ სექციაში, რათა ხაზი გაესვას იმის მოლოდინს, რომ „მხოლოდ VAR -ის გადამოწმებების“ (VAR – only review) უმრავლესობა შესრულდება „მოედანზე გადამოწმებით”

წესებში ყველა ცვლილების დეტალები

ქვემოთ მოყვანილია თამაშის წესების ყველა ცვლილება 2020/21 წლების გამოცემისთვის. ყოველი ცვლილებისთვის მოყვანილია ახალი/შეცვლილი/დამატებული ტექსტი ცვლილების განმარტებით და სადაც შესაძლებელია, ძველი ტექსტიც.

- ტექსტი, რომელიც წაიშლება = ~~ფეხბურთი~~
- ახალი ტექსტი = ფეხბურთი

წესი 01 - სათამაშო მოედანი

10. კარი

შეცვლილი ტექსტი

(...)

ბოძები და ძელი დამზადებული უნდა იყოს ნებადართული მასალისაგან. ისინი უნდა იყოს კვადრატული, მართკუთხა, წრიული, ~~ან~~ ელიფსური ან ამ ოთხი ფორმის კომბინაცია და არ უნდა იყოს სახიფათო.

განმარტება

ბოძები და ძელი შესაძლოა იყოს ოთხი ძირითადი ფორმის კომბინაცია.

წესი 02 - ბურთი

2. დაზიანებული ბურთის შეცვლა

შეცვლილი ტექსტი

თუ ბურთი დაზიანდა:

- თამაში უნდა გაჩერდეს და
- განახლდეს ~~სათადარიგო ბურთით და~~ „სადავო“ ბურთით ~~იმ ადგილიდან, სადაც ბურთი დაზიანდა~~

განმარტება

ტექსტი შეცვლილია მე-8 წესთან თავსებადობისთვის.

წესი 04 - მოთამაშეთა ეკიპირება

4. სხვა ეკიპირება - ეფექტურობის კონტროლის ელექტრონული სისტემები (EPTS)

შეცვლილი ტექსტი

ეფექტურობის კონტროლის ელექტრონული სისტემები (EPTS)

როდესაც FIFA-ს, კონფედერაციების ან ეროვნული ასოციაციების ეგიდით ორგანიზებული ოფიციალური შეჯიბრების მატჩში გამოყენებულია სატარებლად გამოსადეგი ტექნოლოგია (WT), როგორც ეფექტურობის კონტროლის ელექტრონული სისტემების (EPTS) ნაწილი, შეჯიბრების ორგანიზატორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მოთამაშეების ეკიპირებაზე მიმაგრებული ტექნოლოგია არ არის სახიფათო და ~~მასზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ნიშანი~~ პასუხობს ქვემოთ მოყვანილი სტანდარტებიდან ერთ-ერთს: IMS (International Match Standard) ან FIFA Quality.

(ეს დიაგრამა უნდა წაიშალოს)

~~ეს ნიშანი აღნიშნავს, რომ ის ოფიციალურად შემოწმებულია და პასუხობს FIFA-ს მიერ შემუშავებულ და IFAB-ის მიერ დამტკიცებულ "International Match Standard"-ის უსაფრთხოების მინიმალურ მოთხოვნებს.~~ ტესტების ჩამტარებელ ორგანიზაციებს ამტკიცებს FIFA.

იქ, სადაც გამოყენებულია მატჩის ან შეჯიბრების ორგანიზატორის მიერ მიწოდებული ~~ეფექტურობის კონტროლის ელექტრონული სისტემები (EPTS) (თუ ეროვნული საფეხბურთო ასოციაცია/შეჯიბრების ორგანიზატორი თანახმაა)~~, მატჩის ან შეჯიბრების ორგანიზატორის ~~ორგანიზატორებმა~~ პასუხისმგებლობაა ~~უნდა~~, რათა უზრუნველყონ, რომ ოფიციალური მატჩების მიმდინარეობისას EPTS-დან ტექნიკურ ზონაში გადაცემული ინფორმაცია და მონაცემები არის სანდო და ზუსტი.

(...)

ქვემოთ მოყვანილი ნიშანი მიუთითებს, რომ EPTS (სატარებელი ან ოპტიკური) ~~მოწყობილობები/სისტემები~~ ოფიციალურად არის შემოწმებული~~, და პასუხობს~~ ფეხბურთის მოთხოვნებ~~ს~~ზე ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემების სანდოობის და სიზუსტის თვალსაზრისით.

განმარტება

ტექსტი ასახავს ცვლილებას ეფექტურობის FIFA - ს სტანდარტის განახლებას EPTS მოწყობილობებისთვის.

წესი 10 - მატჩის შედეგის განსაზღვრა

3. დარტყმები 11მ ნიშნულიდან

შეცვლილი ტექსტი

დარტყმები 11მ ნიშნულიდან სრულდება მატჩის დასრულების შემდეგ და თუ სხვა რამ არ არის მითითებული, გამოიყენება შესაბამისი თამაშის წესები. მატჩის მსვლელობისას გაძევებულ მოთამაშეს არ შეუძლია მონაწილეობის მიღება; დარტყმებისას 11მ ნიშნულიდან მხედველობაში არ მიიღება მატჩის მსვლელობისას მიცემული სიტყვიერი გაფრთხილებები და ნაჩვენები ყვითელი ბარათები.

განმარტება

მატჩის მსვლელობისას (მათ შორის დამატებითი დროის განმავლობაში) ნაჩვენები ყვითელი ბარათები და სიტყვიერი გაფრთხილებები მხედველობაში არ მიიღება, ვინაიდან დარტყმები 11მ ნიშნულიდან არ წარმოადგენს მატჩის ნაწილს. მოთამაშე, რომელიც მიიღებს ყვითელ ბარათს მატჩის მსვლელობისას და შემდეგ, დარტყმებისას 11მ ნიშნულიდან, არ იქნება გაძევებული (დარტყმებისას 11მ ნიშნულიდან ან სადისციპლინო მიზნებისთვის).

3. დარტყმები 11მ ნიშნულიდან

შეცვლილი ტექსტი

დარტყმების შესრულებისას 11მ ნიშნულიდან

(...)

- თუ მეკარე ჩაიდენს დარღვევას და ამის შედეგად დარტყმა უნდა განმეორდეს, მეკარე ~~უნდა იქნას გაფრთხილებული~~ სიტყვიერად იქნება გაფრთხილებული პირველი დარღვევისთვის და ყოველი მომდევნო დარღვევისთვის (დარღვევებისთვის), გაფრთხილებული იქნება ყვითელი ბარათით

(...)

- თუ ორივე, მეკარე და დამრტყმელი, ერთდროულად ჩაიდენს დარღვევას,
  - ~~თუ დარტყმა აცილებული ან მოგერიებულია, დარტყმა გამეორდება, ხოლო ორივე - მოთამაშე იქნება გაფრთხილებული~~
  - ~~თუ დარტყმის შედეგად გოლი გატანილია, გოლი გაუქმდება,~~ გოლი ჩაინიშნება, როგორც აცილებული, ხოლო დამრტყმელი იქნება გაფრთხილებული

განმარტება

- მეკარეს მიერ კარის ხაზის დარტყმამდე დატოვება უმეტეს შემთხვევებში განპირობებულია იმის წინასწარ არასწორი განჭვრეტით, თუ როდის იქნება ბურთი დარტყმული, ასე რომ, პირველი დარღვევისთვის ის სიტყვიერად უნდა იქნას გაფრთხილებული, ხოლო ყოველი მომდევნო დარღვევისთვის (დარღვევებისთვის) გამეორებული დარტყმისას და/ან ნებისმიერი შემდგომი დარტყმისას, ყვითელი ბარათით უნდა იქნას გაფრთხილებული.
- როდესაც (იშვიათად) მეკარე და დამრტყმელი არღვევენ ზუსტად ერთდროულად, უნდა დაისაჯოს დამრტყმელი, ვინაიდან სწორედ „აკრძალული“ ცრუ მოძრაობა იყო მიზეზი, რამაც გამოიწვია მეკარის მიერ კარის ხაზის დარტყმამდე დატოვება.

წესი 11 - თამაშგარე

2. თამაშგარე დარღვევა

შეცვლილი ტექსტი

თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მოთამაშე, რომელიც ბურთს იღებს მეტოქისგან, რომელმაც განზრახ ითამაშა ბურთზე ~~(გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნებისმიერი მეტოქე გამიზნულად გადაარჩენს კარს გატანილი გოლისაგან)~~, მათ შორის ხელით, არ მოიპოვებს უპირატესობას~~.~~, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეტოქე გამიზნულად გადაარჩენს კარს.

განმარტება

დაზუსტებულია, რომ მცველის მიერ ბურთზე ხელით განზრახ თამაში თამაშგარესთან მიმართებით არის „განზრახ თამაში“. ვინაიდან „ნებადართული“ განზრახ თამაში (მაგ.: ფეხით ან თავით) იწვევს იმას, რომ თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მოთამაშე აღარ განიხილება თამაშგარე წესის დამრღვევად, „აკრძალულ“ თამაშსაც უნდა ჰქონდეს ასეთივე შედეგი.

წესი 12 - წესების დარღვევები და უდისციპლინო საქციელი

1. საჯარიმო დარტყმა - ბურთზე ხელით თამაში

ახალი ტექსტი და დიაგრამა

ბურთზე ხელით თამაშის დარღვევების განსაზღვრის მიზნებისთვის, ხელის ზედა საზღვარი არის ერთ ხაზზე იღლიის ქვედა ნაწილთან.

განმარტება

ბურთზე ხელით თამაშის მიზნებისთვის, ხელი იწყება იღლიის ქვედა ნაწილიდან/დაბოლოებიდან, როგორც ეს ნაჩვენებია მე-14 გვერდზე მოყვანილ დიაგრამაზე.

1. საჯარიმო დარტყმა - ბურთზე ხელით თამაში

შეცვლილი ტექსტი

დარღვევაა, თუ მოთამაშე:

- განზრახ ეხება ბურთს მისი ხელით/მკლავით, მათ შორის ხელის/მკლავის მოძრაობით ბურთისკენ
- გაიტანს მას მეტოქის კარში უშუალოდ ხელით/მკლავით, თუნდაც შემთხვევით, მათ შორის მეკარის მიერ
- ~~ეუფლება/აკონტროლებს ბურთს~~ მას შემდეგ, რაც ბურთი ~~ის~~ შეეხო მის ან მისი თანაგუნდელის ხელს/მკლავს, თუნდაც შემთხვევით, ~~და შემდეგ~~ დაუყოვნებლივ:
  - გაიტანს მას მეტოქის კარში
  - ქმნის გოლის გატანის შესაძლებლობას

~~როგორც წესი, დარღვევაა, თუ მოთამაშე:~~

- ეხება ბურთს მისი ხელით/მკლავით, როდესაც:

(...)

ზემოთ მოყვანილი დარღვევების გამოკლებით, ~~როგორც წესი,~~ არ არის დარღვევა, თუ ბურთი ეხება მოთამაშის ხელს/მკლავს:

(...)

განმარტება

დაზუსტებულია, რომ:

- თუ შემტევი მოთამაშე შემთხვევით ეხება ბურთს ხელით/მკლავით და შემდეგ ბურთი მიუვა სხვა რომელიმე შემტევ მოთამაშეს და შემტევი გუნდი დაუყოვნებლივ გაიტანს გოლს, ეს არის დარღვევა ბურთზე ხელით თამაშით.
- არ არის დარღვევა, თუ ბურთზე შემთხვევით ხელით თამაშის შემდეგ, ბურთი გაივლის გარკვეულ მანძილს (პასი ან დრიბლინგი) და/ან შესრულდება რამოდენიმე პასი გოლის გატანამდე ან გოლის გატანის შესაძლებლობამდე.

1. საჯარიმო დარტყმა - ბურთზე ხელით თამაში

შეცვლილი ტექსტი

მეკარეზე ვრცელდება საკუთარი საჯარიმო მოედნის ფარგლებს მიღმა ბურთზე ხელით თამაშის ისეთივე შეზღუდვები, როგორიც სხვა ნებისმიერ მოთამაშეზე. თუ მეკარე ხელით თამაშობს ბურთზე საკუთარ საჯარიმო მოედანში, როდესაც არა აქვს ამის უფლება, ინიშნება თავისუფალი დარტყმა, თუმცა სადისციპლინო სანქციის გარეშე. მაგრამ, თუ დარღვევა არის თამაშის განახლების შემდეგ ბურთზე განმეორებით თამაში (ხელით/მკლავით ან მის გარეშე), ვიდრე მას შეეხება სხვა მოთამაშე, მეკარე დასჯილი უნდა იყოს სადისციპლინო სანქციით, თუ დარღვევა გააჩერებს იმედისმომცემ შეტევას ან წაართმევს მეტოქეს ან მეტოქე გუნდს აშკარა გოლს ან გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას.

განმარტება

თუ თამაშის განახლებისას მეკარე განზრახ თამაშობს ბურთზე განმეორებით (ვიდრე ბურთი შეეხება სხვა მოთამაშეს) და აჩერებს იმედისმომცემ შეტევას ან ჩაშლის აშკარა გოლს ან წაართმევს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას, მეკარე გაფრთხილებული (ყვითელი ბარათი) ან გაძევებული (წითელი ბარათი) უნდა იყოს. ეს მიდგომა გამოყენებულია იმ შემთხვევაშიც, თუ მეორე შეხება მოხდა ხელით/მკლავით, ვინაიდან დარღვევას წარმოადგენს ბურთზე „აკრძალული“ განმეორებით თამაში და არა „ხელით თამაში“.

3. სადისციპლინო სანქცია - თამაშის განახლების დაყოვნება ბარათის საჩვენებლად

შეცვლილი ტექსტი

როგორც კი მსაჯმა გადაწყვიტა გააფრთხილოს ან გააძევოს მოთამაშე, თამაში არ შეიძლება განახლდეს, ვიდრე სანქცია არ იქნება გამოტანილი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არადამნაშავე გუნდი სწრაფად ასრულებს საჯარიმო ან თავისუფალ დარტყმას, აქვს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა და მსაჯს არ დაუწყია სადისციპლინო სანქციის გამოტანის პროცედურა. სანქცია გამოტანილი იქნება თამაშის შემდგომი გაჩერებისას; თუ დარღვევის გამო მეტოქე გუნდმა დაკარგა გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობა, მოთამაშე იქნება გაფრთხილებული; თუ დარღვევა ხელს უშლის ან აჩერებს იმედისმომცემ შეტევას, მოთამაშე არ იქნება გაფრთხილებული.

განმარტება

თუ მსაჯი საშუალებას აძლევს შესრულდეს „სწრაფი“ საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმა ისეთი დარღვევის შემდეგ, რომელიც მეტოქეს უკარგავს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობას, (დაყოვნებული) წითელი ბარათი გარდაიქმნება ყვითელ ბარათად. ასე რომ, თანმიმდევრულობისთვის, თუ მსაჯი საშუალებას აძლევს შესრულდეს „სწრაფი“ საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმა დარღვევის შემდეგ, რომელიც ხელს უშლის ან აჩერებს იმედისმომცემ შეტევას, (დაყოვნებული) ყვითელი ბარათი არ უნდა იქნას ნაჩვენები.

3. სადისციპლინო სანქცია - უპირატესობა

შეცვლილი ტექსტი

თუ მსაჯი იყენებს უპირატესობას ისეთი დარღვევისთვის, რომელიც თამაშის გაჩერების შემთხვევაში გაფრთხილებით/გაძევებით უნდა ყოფილიყო დასჯილი, მაშინ ეს გაფრთხილება/გაძევება გამოტანილი უნდა იყოს ბურთის თამაშიდან გასვლის შემდეგ. თუმცა, თუ დარღვევა წაართმევს მეტოქე გუნდს ~~გარდა~~ გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობასან, ~~წართმევისა,, როდესაც~~ მოთამაშე გაფრთხილებულიან იქნება არასპორტული საქციელისთვის; თუ დარღვევა ხელს უშლის ან აჩერებს იმედისმომცემ შეტევას, მოთამაშე არ იქნება გაფრთხილებული.

განმარტება

თუ მსაჯი იყენებს უპირატესობას დარღვევისას, რომელიც იწვევს გოლის გატანის აშკარა შესაძლებლობის დაკარგვას, წითელი ბარათი გარდაიქმნება ყვითელ ბარათად. ასე რომ, თანმიმდევრულობისთვის, თუ მსაჯი თამაშობს უპირატესობას დარღვევისას, რომელიც ხელს უშლის ან აჩერებს იმედისმომცემ შეტევას, ყვითელი ბარათი არ უნდა იქნას ნაჩვენები.

3. სადისციპლინო სანქცია - დარღვევები, რომლებიც ისჯება გაფრთხილებით

შეცვლილი ტექსტი

მოთამაშე იქნება გაფრთხილებული, თუ დამნაშავეა შემდეგ დარღვევებში:

(...)

- არ იცავს მოთხოვნილ მანძილს თამაშის განახლებისას „სადავო“ ბურთით, კუთხური დარტყმით, საჯარიმო დარტყმით, თავისუფალი დარტყმით ან ბურთის შემოგდებით გვერდითი ხაზიდან

განმარტება

ყვითელი ბარათით დასჯადი დარღვევების სიაში „სადავო“ ბურთის შეტანა „მოთხოვნილი მანძილის დაუცველობისთვის“.

3. სადისციპლინო სანქცია - გაფრთხილებები არასპორტული საქციელისთვის

შეცვლილი ტექსტი

არსებობს სხვადასხვა გარემოება, როდესაც აუცილებელია მოთამაშის გაფრთხილება არასპორტული საქციელისთვის, თუ მოთამაშე:

(...)

- ჩაიდენს სხვა ნებისმიერ დარღვევას, რომელიც ხელს უშლის ან აჩერებს იმედისმომცემ შეტევას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსაჯი ნიშნავს 11მ დარტმას ისეთი დარღვევისთვის, რომელიც იყო ბურთზე თამაშის მცდელობა

განმარტება

იმედისმომცემი შეტევა შესაძლოა გაჩერებული იქნას ან ხელი შეეშალოს დარღვევით, რომელიც არ წარმოადგენს წესის დარღვევას ორთაბრძოლისას (მაგ.: თამაშის განახლების შემდეგ „ნებადაურთველად“ ბურთზე ხელმეორედ თამაში), ასე რომ, ტექსტი ეხლა შეიცავს ყველა ამგვარ დარღვევას, გარდა ხელით თამაშისა, რომელიც წინა პუნქტშია აღწერილი.

წესი 14 – 11მ დარტყმა

2.დარღვევები და სანქციები

შეცვლილი ტექსტი

(...)

თუ ბურთის თამაშში შესვლამდე მოხდება რაიმე ქვემოთ მოყვანილი:

(...)

- ~~მეკარე~~ არღვევს მეკარე ~~თამაშის წესებს:~~
  - თუ ბურთი გადის კარში, გოლი ითვლება გატანილად
  - თუ ბურთი ცდება კარს ან აისხლიტება ძელიდან ან ბოძიდან (ბოძებიდან), მაშინ დარტყმა განმეორდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მეკარის დარღვევა აშკარად ახდენს ზეგავლენას დამრტყმელზე
  - თუ ბურთის კარში გასვლას ხელს უშლის მეკარე, დარტყმა განმეორდება. თუ მეკარის მიერ ჩადენილი დარღვევა იწვევს დარტყმის განმეორებას, მეკარე გაფრთხილებული იქნება სიტყვიერად თამაშში ჩადენილი პირველი დარღვევისთვის და გაფრთხილებული იქნება ყვითელი ბარათით თამაშში ჩადენილი ყოველი შემდეგი დარღვევისთვის (დარღვევებისთვის).
- ~~მეკარე ან მისი~~ არღვევს მეკარის თანაგუნდელი ~~არღვევს თამაშის წესებს:~~
  - თუ ბურთი გადის კარში, გოლი ითვლება გატანილად
  - თუ ბურთი არ გადის კარში, დარტყმა განმეორდება~~; მეკარე იქნება გაფრთხილებული, თუ პასუხისმგებელია დარღვევაზე~~
- არღვევს ორივე გუნდის მოთამაშე ~~არღვევს თამაშის წესებს~~, დარტყმა განმეორდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოთამაშე ჩაიდენს უფრო სერიოზულ დარღვევას (მაგ.: აკრძალული ცრუ მოძრაობა);
- ~~თუ~~ ერთდროულად არღვევს ორივე, მეკარე და დამრტყმელი, ~~ერთდროულად ჩაიდენს დარღვევას~~:
  - ~~თუ დარტყმა აცილებული ან მოგერიებულია, დარტყმა მეორდება, ხოლო ორივე მოთამაშე იქნება გაფრთხილებული~~
  - ~~თუ დარტყმის შედეგად გოლი გატანილია, გოლი გაუქმდება, დარტყმა ჩაინიშნება როგორც აცილებული, ხოლო~~ დამრტყმელი იქნება გაფრთხილებული და თამაში განახლდება თავისუფალი დარტყმით დამცველი გუნდის სასარგებლოდ

განმარტება

- დაზუსტებულია (როგორც გადმოცემულია 2017 წლის აგვისტოს IFAB - ის N17 ცირკულარში), რომ თუ მეკარე არღვევს 11მ დარტყმის შესრულებისას და ბურთი აცდება კარს ან აისხლიტება კარის ბოძებიდან ან ძელიდან (ე.ი. მეკარე არ იგერიებს დარტყმას), მეკარე არ ისჯება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეკარის ქმედება (ქმედებები) აშკარად ახდენს ზეგავლენას დამრტყმელზე.
- მეკარის მიერ დარტყმამდე ხაზის დატოვება უმეტეს შემთხვევებში განპირობებულია იმის არასწორი წინასწარი განჭვრეტით, თუ როდის იქნება ბურთი დარტყმული. ასე რომ, პირველი დარღვევისთვის ის არ უნდა იქნას გაფრთხილებული ყვითელი ბარათით, და მხოლოდ ყოველი მომდევნო დარღვევისთვის (დარღვევებისთვის) გამეორებული დარტყმისას და/ან ნებისმიერი შემდგომი დარტყმისას უნდა იქნას გაფრთხილებული ყვითელი ბარათით.
- როდესაც მეკარე და დამრტყმელი არღვევენ ზუსტად ერთდროულად (იშვიათი შემთხვევა), მეკარის დარღვევა, როგორც წესი, გამოწვეულია დამრტყმელის „აკრძალული“ ცრუ მოძრაობით, ამიტომ ისჯება დამრტყმელი.

3. შემაჯამებელი ცხრილი

შეცვლილი ცხრილი

11მ დარტყმის შედეგი

	გოლი გატანილია	გოლი არ არის გატანილი
შემტევი მოთამაშის შეღწევა	11მ დარტყმა მეორდება	თავისუფალი დარტყმა
დამცველი მოთამაშის შეღწევა	გოლი გატანილია	11მ დარტყმა მეორდება
დამცველი და შემტევი მოთამაშის შეღწევა	11მ დარტყმა მეორდება	11მ დარტყმა მეორდება
დარღვევა მეკარის მიერ	გოლი გატანილია	აცილებულია: დარტყმა არ მეორდება (თუ დამრტყმელზე არ არის ზემოქმედება) მოგერიებულია: 11მ დარტყმა მეორდება და სიტყვიერი გაფრთხილება მეკარეს; ყოველი შემდეგი დარღვევისთვის (დარღვევებისთვის) ყვითელი ბარათი
მეკარის და დამრღვევის ერთდროული დარღვევა	თავისუფალი დარტყმა და ყვითელი ბარათი დამრტყმელს	თავისუფალი დარტყმა და ყვითელი ბარათი დამრტყმელს
უკან დარტყმული ბურთი	თავისუფალი დარტყმა	თავისუფალი დარტყმა
„აკრძალული“ ცრუ მოძრაობა	თავისუფალი დარტყმა და გაფრთხილება დამრტყმელს	თავისუფალი დარტყმა და გაფრთხილება დამრტყმელს
არაიდენტიფიცირებული დამრტყმელი	თავისუფალი დარტყმა და გაფრთხილება არაიდენტიფიცირებულ დამრტყმელს	თავისუფალი დარტყმა და გაფრთხილება არაიდენტიფიცირებულ დამრტყმელს

VAR - ის პროტოკოლის და სახელმძღვანელოს განახლება

4. პროცედურები - შემოწმება

შეცვლილი ტექსტი

- თუ „შემოწმება“ მიუთითებს შესაძლო „ნათელ და აშკარა შეცდომაზე“ ან „სერიოზულ გამოტოვებულ ინციდენტზე“, VAR-ი გადასცემს ამ ინფორმაციას ~~(და არა გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებული უნდა იქნას)~~ მსაჯს, რომელიც შემდგომ გადაწყვეტს, მოახდინოს თუ არა „გადამოწმების“ ინიცირება

განმარტება

მითითება საბოლოო გადაწყვეტილებაზე ამოღებულია, ვინაიდან VAR - ს უფლება აქვს რჩევა მისცეს მსაჯს გადაწყვეტილების შესახებ, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ყოველთვის მსაჯს გამოაქვს.

4. პროცედურები - გადამოწმება

შეცვლილი ტექსტი

- თუ თამაში ჯერ კიდევ არ არის გაჩერებული, მსაჯი გააჩერებს თამაშს, როდესაც ბურთი აღმოჩნდება ნეიტრალურ ზონაში/სიტუაციაში (როგორც წესი, როდესაც არც ერთი გუნდი არ იმყოფება შეტევაში) და აჩვენებს „სატელევიზიო სიგნალს“
- ~~ორივე სიტუაციაში მსაჯმა უნდა ანიშნოს, რომ მოხდება „გადამოწმება“, „სატელევიზიო სიგნალის“ ნათელი ჩვენებით (ჰაერში სატელევიზიო ეკრანის შემოხაზვით)~~
- VAR-ი განუმარტავს მსაჯს, თუ რისი ნახვა შეიძლება სატელევიზიო გამეორებებზე, ~~თუმცა არა გამოსატან გადაწყვეტილებას~~ და შემდეგ მსაჯი:
  - აჩვენებს „სატელევიზიო სიგნალს“ (თუ უკვე არ არის ნაჩვენები) და გაემართება ვიდეო გადამოწმების ზონისკენ გამეორების კადრების სანახავად - „მოედანზე გადამოწმება“ (OFR) – საბოლოო გადაწყვეტილებლის მიღებამდე. მატჩის სხვა ოფიციალური პირები არ ნახავენ კადრებს, ვიდრე, განსაკუთრებულ გარემოებებში, მსაჯი არ სთხოვს მათ ამის გაკეთებას.

ან

  - მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას დაფუძნებულს მის საკუთარ შთაბეჭდილებაზე და VAR-გან მიღებულ ინფორმაციაზე და სადაც შესაძლებელია, მატჩის სხვა ოფიციალური პირებისგან მიღებულ ინფორმაციაზე - ეს არის „მხოლოდ VAR-ის გადამოწმება“
- „გადამოწმების“ ორივე პროცესის ბოლოს, მსაჯმა ~~ჯვლავ~~ უნდა აჩვენოს „სატელევიზიო სიგნალი“, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვება საბოლოო გადაწყვეტილება
- სუბიექტური გადაწყვეტილებებისთვის, როგორიც არის ორთაბრძოლისას დარღვევის ინტენსივობა, ხელის შეშლა თამაშგარისას, ხელით თამაშის მოსაზრებებისთვის, „მოედანზე გადამოწმება“ (OFR) ~~ხშირად~~ უკეთესია
- ~~ფაქტებთან დაკავშირებული~~ ფაქტობრივი გადაწყვეტილებებისთვის, როგორიც არის დარღვევის ან მოთამაშის პოზიცია (თამაშგარე), კონტაქტის ადგილი (ხელით თამაში/წესის დარღვევა), ადგილი (საჯარიმო მოედანში ან მის გარეთ), ბურთი თამაშის გარეთ და ა.შ., მხოლოდ VAR-ის გადამოწმება როგორც წესი საკმარისია, თუმცა „მოედანზე გადამოწმების“ (OFR) გამოყენებაც შეიძლება ფაქტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისთვის, თუ ეს დაეხმარება მოთამაშეების/მატჩის მართვას ან გადაწყვეტილების „გაყიდვას“ (მაგ.: მნიშვნელოვანი, მატჩის მიმდინარეობის შემცვლელი გადაწყვეტილება მატჩის მიწურულს)

განმარტება

- მხოლოდ ერთი „სატელევიზიო სიგნალი“ არის საჭირო, როდესაც ხორციელდება „მხოლოდ VAR - ის გადამოწმება“ (თუ სიგნალი ასევე საჭირო არ არის თამაშის გაჩერების შემდეგ)
- ტექსტის რეორგანიზაცია ხაზს უსვამს, რომ „მოედანზე გადამოწმება“ (OFR) მოსალოდნელია, როდესაც ინციდენტი/გადაწყვეტილება არის არა-ფაქტობრივი

ცვლილებები ლექსიკონში

ახალი ტექსტი

შეკავებით ჩადენილი დარღვევა

შეკავებით ჩადენილი დარღვევა არის მხოლოდ მაშინ, როდესაც მოთამაშის კონტაქტი მეტოქის სხეულთან ან ეკიპირებასთან ხელს უშლის მეტოქის მოძრაობას

განახლების ადგილი

მოთამაშის პოზიცია თამაშის განახლებისას განსაზღვრულია ტერფის ან სხეულის რომელიმე ნაწილის სათამაშო ზედაპირთან შეხების ადგილით, გარდა მე-11 წესში -თამაშგარე - აღწერილისა.

ცვლილებები პრაქტიკულ სახელმძღვანელოში მსაჯებისთვის

11მ დარტყმა (გვ, 212)

შეცვლილი ტექსტი

თუ მეკარე ბურთის დარტყმამდე აშკარად ტოვებს კარის ხაზს და ~~გოლი არ არის გატანილი~~ ხელს შეუშლის გოლის გატანას, მსაჯის ასისტენტმა ~~უნდა ასწიოს ალამი~~ უნდა ანიშნოს მეკარის მიერ კარის ხაზის დატოვება მატჩის დაწყებამდე მსაჯთან განხილვის შესაბამისად.

5. ტრავმები (გვ.222)

დამატებული ქვესათაური და ტექსტი

მოთამაშეთა უსაფრთხოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და მსაჯმა ხელი უნდა შეუწყოს სამედიცინო პერსონალს მუშაობაში, განსაკუთრებით სერიოზული ტრავმის და/ან თავის ტრავმის შეფასებისას. ეს გულისხმობს პატივისცემას და დახმარებას შეფასების/მკურნალობის შეთანხმებული პროტოკოლის მიხედვით.

~~5.~~ 6. სამედიცინო დახმარება/შემოწმება გაფრთხილების/გაძევების შემდეგ (გვ.222)

შეცვლილი ქვესათაური და ტექსტი

(...)

როგორც ზოგადი სახელმძღვანელო, (...) მზად არის თამაშის განახლებისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ადგილი აქვს სერიოზულ ტრავმას და/ან თავის ტრავმის შეფასებას.

ხელით თამაშის დიაგრამა